

დიდ მწუხრსა ზედა.

- „მოვედით თაყვანის - ვსცეთ“ - იგალობება.
- „აკურთხევს სული ჩემი სული უფალსა“ (103 ფსალმუნი) - იგალობება.
- „ნეტარ არს კაცი“ - I კანონის I ანტიფონი.
- „უფალო ღაღად - ვჰყავ“ (იგალობება V ვმაზე).
- ღირსისა გაბრიელისა - მუხლი

- მწყემს ცხოვართა გპოვებთ შენ, დაფარულად მოღუაწედ გულისკმა-გყოფთ, და ეშმაკთა შენ მიერ დაცემულსა ვხედავთ, ღმერთშემოსილო გაბრიელ, საკვრველო, ბრწყინვალეზაო საღმრთოზა სიყუარულისაო და განმანათლებელო ერისა შენისაო; სუეტო შეურყეველო მოთმინებისაო; სიმტკიცეო და ძელო ეკლესიისაო; ლამპარო ყოვლადბრწყინვალეო და მნათობო ყოვლისა საქართველოზაო; სათნოებათა საუნჯეო და წმიდითა ლოცვითა შენითა მეოხო ყოველთა პატივისმცემელთა შენთაო, გვიოხე აწ ქრისტესს მიმართ და გვთხოვე, ღირსო, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობაჲ, მშვიდობაჲ და დიდი წყალობაჲ.

- იქების მარადის მართლმადიდებელთა ქრისტეს მოყუარეთა მიერ, საღმრთონი სათნოებანი შენნი, ღმერთშემოსილო გაბრიელ, საკვრველო, სიწმიდე, სიმშვიდე, და სიმდაბლწ და გლაზაკთა მოწყალებაჲ. აწ ჩუენცა არა უმეცარ ვართ ღუაწლთა შენთა და შრომათა, და მჭურვალედ გევედრებით: გვიოხე აწ ქრისტესს მიმართ და გვთხოვე, ღირსო, ცოდვათა და უსჯულოებათა ჩუენტა შენდობაჲ.

- სიქადულო მოსაგრეთაო და სიმტკიცეო მართლისა სარწმუნოებისაო, სამებისა წმიდისა გამორჩეულო მსახურო, მოდასეო ანგელოზთაო, ქუეყანით ზეცად ამაღლებულო სალოსობითა შენითა და სასუფეველსა დამკვდრებელო, გვიოხე აწ ქრისტესს მიმართ და გვთხოვე, ღირსო, რადთა საცთურებასა და ჭირთა საჯუმილსა შინა, ჩუენცა გუასხუროს ცუარი მადლისა შენისაჲ.

- დღესასწაულობს ქართველთა ეკლესიაჲ ვსენებასა შენსა და გვწესს შენისა ღუაწლისა შესხმად, ღმერთშემოსილო გაბრიელ, საკვრველო, ანგელოზთა თანა შეერთებულო ტაძარო საიდუმლოთაო, უფსკრულო გულისკმისყოფისაო, მხილველო გამოუთქმელთაო, მამაო ბერთაო, სიქადულო მონაზონთაო და წინამძღუარო განშორებულთაო, რომელი წინაშე ყოვლადწმიდისა სამებისა იხარებ მრავლითა ბრწყინვალეზითა განათლებული და შემწე ხარ მვედრებელთა შენთათჳს, გვიოხე აწ ქრისტესს მიმართ და გვთხოვე, ღირსო, რადთა გარდამოგვივლინოს ძალი, სიმწნწ, სიბრძნწ და მძლეველობაჲ ყოველთა მტერთა და მაჭირვებელთა ზედა.

სხუაჲ დასდებელი. (ჳმაჲ 2).

- ვითარიმე ქებისა გვრგვნი შეუთხზნათ სასტიკითა მოსაგრეობისა სალოსობითა დამფარველსა ბერსა და ყოველთა შუამდგომელსა და შემწესა მჭურვალესა, ყოველთა ჭირვეულთა

ნუგეშინისმცემელსა და ყოველთა განსაცდელსა შინა მყოფთა შესავედრებელსა, კეთილმსახურებისა სუეტსა, მორწმუნეთა წინამბრძოლსა, ყოვლადქებულსა გაბრიელ სალოსსა, რომლისა მიერ აღძრვანი მტერთანი ქრისტემან დაამხუნა, რომელსა აქუს დიდი წყალობაჲ. 2-გზის.

- ვითარითა ქებისა საგალობელითა უგალობდეთ ქალაქსა შინა, ვითარცა უდაბნოსა შინა დამკვდრებულსა, და წინამძღურად და სამხილებელად ერისა ჩუენისა გამოჩინებულსა, დიდსა შემწესა და ბერ-მოდღუარსა გაბრიელსა, ყოველთა უკეთურთა და უდებთა მარცხუენელსა, რომლისათვისცა აღძრვანი მათნი ქრისტემან დაამხუნა, რომელსა აქუს დიდი წყალობაჲ.

- ვითარითა ქებისა გალობითა უგალობდეთ ნიშთა და სასწაულთა მიერ ეკლესიისა შემამკობელსა და მწყემსსა და მოძღუარსა ივერიელთასა, რომელი მსგავსად მზისა გამოუჩნდა ერსა ჩუენსა და განსწავლიდა ღმრთისა და მამულისა სიყუარულითა, ამისთვისცა დაგვძს სასოებაჲ ჩუენი მისსა მიმართ, რადთა აღვიარებდეთ ერთობითა სარწმუნოებისაჲთა და სიყუარულითა, ვითარცა წინამძღვარსა და სიმტკიცესა ერისა ჩუენისასა, რომელსა აქუს დიდი წყალობაჲ.

- „დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“ - დავბეროთ აწ კუალად ნესტუსა გალობათასა და განვსცხრებოდეთ და ვადიდებდეთ ქრისტესა ღმერთსა, რომელმან მოსცა ესევეთარი მამაჲ და მეოხი დედისა მისისა წილ-ხუდომილსა ერსა ჩუენსა და ქებითა გალობისაჲთა შევასხმიდეთ, ბერთა სიქადულსა და ქართლისა დიდებასა, წყაროსა საკვრველებათასა და მორწმუნეთა დიდსა მეოხსა და შუამდგომელსა, რამეთუ არავინ ყოფილ არს მამათა ჩუენთაგანი მსგავს მისდა. (გზა 6).

- „აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“ - ვინ არა გნატრიდეს შენ ყოვლადწმიდაო ქალწულო, ვინ არა უგალობდეს უხრწნელსა შობასა შენსა, რამეთუ რომელი იგი უყამოდ მამისაგან გამობრწყინდა, ძმ მხოლოდშობილი, იგივე შენგან უბიწოდა გამოვიდა გამოუთქმელად კორცმესხმული, ღმერთი იყო ბუნებით და ჩუენთვის კაც-იქმნა წყალობით. არა ორებად პირთასა განიკუეთა, არამედ ორითა ბუნებითა შეურევენელად საცნაურ-იქმნა. მას ევედრე, პატიოსანო და ყოვლადსანატრელო, ცხორებისათვის სულთა ჩუენთასა. (გზა 6).

- შესვლა საცეცხლურით.

- წარდგომა დღისა

- საწინაწარმეტყველო - 3 საკითხავი ღირსისა.

1. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი. (მართალთა სულნი ხელთა შინა ღმრთისათა...)

2. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი. (მართალნი საუკუნოდ ცხოვნდეს. და უფლისა მიერ...) წერილ-არს, მარტის 9-ს.

3. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი (მართალი თუ აღესრულოს განსუენებასა შინა...) წერილ-არს მათის 7-ს.

- ლიტსა ზედა დასდებელი ტაძრისა - 1 მუხლი.

- ესრეთ ღირსისა გაბრიელისი.

- ყოვლადვე არასადა შეაპყარ, პატიოსანო მამაო გაბრიელ, თავი თვისი შუებასა და განცხრომასა, არამედ შეჭურვილ იყავნ მარხვითა და ლოცვითა და მღვპარებითა, და შემოსითა ძამისაჲთა და ჯმელსა ზედა წოლითა და სხვთა ბევრეულითა ღუაწლითა, მარადის იკსენებდი საშინელსა მას სასჯელსა და დღესა მას მეორედ მოსლვისასა, და შიშითა მით განაკრძალეზდი სულსა თვისსა და მარადის ადიდებდი დამბადებელსა ყოველთასა.

- იყავ რად მქადაგებელი სინანულისად, ვითარცა იოვანე ნათლისმცემელი, გაქუნდა შენ მოწყალება და სიმშვედზე, ვითარცა დავითს წინაწარმეტყუელსა, და ილოცევდ ღამწე ყოველ მარადის სამოსლითა უშუერთითა, მოღუაწეო და მუშაკო სათნოებისაო ბერო გაბრიელ, და ითხოვნ რად ქრისტესგან საწუთრომსა წილ საუკუნესა, ღირს იქმენ წმიდათა თანა სიხარულსა მას წარუვალსა.

- განგვაცვიფრებს ურიცხუნი სასწაულნი შენნი, ღირსო გაბრიელ, არამედ უფრომს გვკვრს აღმსარებლობად შენი და სიყუარული ღმრთისა და მოყუასისად, რამეთუ ჟამსა მას უღმრთოებისასა შური საღმრთოდ მოიპოე, ნეტარო ბერო, და სალოსობდი რად სათნოდ ღმრთისა, ამხილებდი და მოაქცევდი მრავალთა და არცხვინე ბოროტსა მას მანქანებასა მძლავრთასა.

- სიტყუად შენი უზეშთაეს მზის-თუალისა განბრწყინდა, რაჟამს ქადაგებდი, ღირსო, სარწმუნოებასა ჭეშმარიტსა, განსდევნენ ღრუბელნი ცოდვისანი და გუახარე კუალად ცხოვრებად ცრემლითა, ხოლო ჩუენ არა უმეცარ ვართ ღუაწლთა შენთა და შრომათა, ღირსო გაბრიელ, და აწ ურვათა შინა მყოფნი ვითხოვთ შენ მიერ შეწევნასა.

- ღმრთივგანბრძნობილად გამოსჩნდი შენ, კურთხეულო ძალითა მაღლისადათა, და ენითა მით საღმრთოდთა ამხილე უღმრთოებად ღმრთისმბრძოლთა მათ მთავრობათა, და აღამაღლენ გვრგვნი მართლ-აღმსარებელთად, ხოლო ეკლესიამან ქართველთამან, ვითარცა საუნჯე მრავალსასყიდლისად, გპოვა შენ და სიხარულითა შეგიწყნარა.

- ვითარცა მზისა ნათელმან, ესრეთ განანათლნა გონებანი მოსავთა შენთანი, ღმერთშემოსილო გაბრიელ, საკვრველო, ყოვლად საგალობელმან დღესასწაულმან შენმან, ევედრე აწცა ქრისტესა, ღირსო, რადთა მოიხილოს ერსა თვისსა ზედა, რომელსა არა გუაქუს სიტყვსგებად წინაშე მისსა და განგუარინნეს ჩუენ ცოდვათაგან ბოროტთა და მრავალსახეთა განსაცდელთა.

- რომელი დაენერგე სახლსა შინა ღმრთისასა, ღირსო მამაო გაბრიელ, აღყუავდი სიმართლითა, და საბეროდთა მანტიითა შემოსილი ქრისტესტვს სულელობითა შენითა ღმრთივმშუენიერად ქადაგებდი რად სახარებასა, ვითარცა უდაბნოსა ზედა ნამვი, ესრეთ განამრავლე სამწყსოდ ქრისტესი, ღირსად და სამართლად სიტყვერნი ცხოვარნი და სიმართლითა და სიწმიდით წინამძღუარ ექმენ მოღუაწეთა, რადსთვსცა გიგალობთ შენ, ვითარცა მწყემსსა დიდსა და საკვრველთმოქმედსა მოღუაწესა.

დაუტევე რად, წმიდაო, სოფელი, აღილე ჯუარი, რომლისა მიერ მოქადულ-იყავ შენ, სამ-გზის სანატრელო მამაო გაბრიელ, და წინამძღურებითა სულისა წმიდისადათა და წინადაწარ უწყებითა ღმრთისადათა წარმართენ სღვანი შენი გზასა მას ჭეშმარიტსა და სიმდაბლითა თვისითა მიიწიე საზომსა დიდსა, რამეთუ განასხმიდი სულთა უკეთურთა და განკურნებდი ყოველთა სნეულთა, და მეოხ-ხარ ღმრთისა მიმართ სულთა ჩუენთათვს.

„დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“ - კეთილ-მონაო სახიერო და სარწმუნოო, კეთილო მუშაკო ქრისტეს ვენახისაო, შენ სიმწნითა და აკოვნად სიმძიმე დღისად იტვრთე და მოცემული ტალანტი აღაორძინე, რადსთვსცა აღმსარებელთა მათ თანა

განწესე და სალოსთა თანა შეხუედ სიხარულსა უფლისა შენისა სახიერისასა, აწ მეოხ-გუეყავ მაქებელთა შენთა დაუცხრომელად.

- „აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“ - გიხაროდენ, ქალწულო, ღრუბელო და ეტლო სიტყვსაო, გიხაროდენ, უზესთაეს გონებისა და გარეგან საზღუარისა, წმიდაო ღმრთისა საყოფელო, გიხაროდენ, უქორწინებელო სულითა ზესთა ღმერთთასა მიდგომილო, გიხაროდენ, თვნიერ თესლისა მშობელო, და თვნიერ ხრწნილებისა მაწოვნებელო, გიხაროდენ, მარადის ქალწულო, კურთხეულო.

- **სტიქარონსა ზედა დასდებელი. (ჴმაჲ 8).**

ცუდად დიდებასა და ამჰართავანებასა და გულის სიტყუათა მწინკულებანთა წინა აღუდგებოდი და განაქარვებდი სრულებით სიმშვიდითა მით და სიმდაბლითა ქრისტესითა, და მცნებათა მისთა იწურთიდ მარადის, დღისი და ღამით გონებითა წმიდითა, და მჭურვალჭ ლოცვაჲ შენი აღიწეოდა ზეცას, ვითარცა სუეტი ნათლისაჲ, სანატრელო ბერო გაბრიელ, აწცა გვთხოვე ქრისტესგან დიდი წყალობაჲ.

მუხლი. „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა“.

მოაკუდინე შენ გულისთქმაჲ და შეიყუარე წმიდა ქალწულებაჲ, და ვითარცა ნათელი, შთაიცუ სიწმიდჭ, და ვითარცა გურიტი სიმშვიდით ჰმონებდი ქრისტესა გონებითა უბიწოდთა, სანატრელო ბერო გაბრიელ, შემკული საღმრთოდთა გულისტმის-ყოფითა. ამისთვსცა გაქებთ და გნატრით კეთილქებისა გალობითა.

მუხლი. „ნეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად“.

შეგამკო ღმერთმან, ბერო გაბრიელ, ნათლითა სასწაულთაჲთა და მადლთა საღმრთოდთა ბრწყინვალეებითა, და აღავსო სული შენი სიბრძნითა, და ვითარცა წყაროდ ცხოველი და თუალი დაუწყუედელი აღმოაცენებდი მოძღურებათა საღმრთოთა, აღორძინებისათვს ქრისტესს სამწყსოსაჲთა.

- „დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“ - სიმრავლჭ მონაზონთა წინამძღურად აღგიარებს, ღმერთშემოსილო, ღირსო გაბრიელ, რამეთუ აღივსებიან საღმრთოდთა მით მადლთა, რომელ დაუტევე, და იშუებენ საკსენებელსა შენსა, მობაძვო პირველ საუკუნეთა მამათაო, მათ თანა ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რაჲთა შეიწყალნეს მან სულნი ჩუენნი ოხითა თქუენითა.

- „აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“ - უსძლოო ქალწულო, რომელმან ღმერთი მუცლად-იღე გამოუთქმელად, დედაო ღმრთისა მალლისაო, ვედრებაჲ მონათა შენთაჲ შეიწირე, ყოვლადუბიწოო, რომელი მისცემ ყოველთა შენდობასა ცოდვათასა, ჩუენიცა ვედრებაჲ შეიწირე და გვთხოვე ჩუენ დიდი წყალობაჲ.

- „აწ განუტევე“.

- შემდგომად „მამაო ჩვენო“-სი:

- **ტროპარი - ღირსისა:** საღმრთოდსა ქუხილისა საყვრო სულიერო და ჴმამადალო ქადაგო სიყუარულისაო, მოწამეთა მსგავსად მოღუაწეო და განსაცდელთა შინა მყოფთა მსწრაფლ

შემწეო, ქართველთა სიქადულო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებლო და სალოსო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათჳს.*(გმა 8).* - **2 გზის.**

- **ან სხუად ტროპარი** - ჯუარცმითა და ღუაწლითა შენითა სულნი კაცთანი მოიმკუნ სასუფევლისათჳს ღმრთისა, უღმრთოთა წინაშე, ვითარცა უჯორცოჲ, უშიშად აღიარებდი ღმერთსა და სისხლითა და ცრემლითა დაამტკიცებდი სასუფეველსა, სიმდაბლჳ შეიმოსე, ვითარცა სამოსელი ნათლისაჲ და წუთისოფლისა ზრახვანი უძლეველად დაამკუნ სალოსობითა შენითა, სიქადულო ქართველთა ერისაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებლო და სალოსო, ევედრე შენგან შეყუარებულსა ჯუარცმულსა ღმერთსა, იესუ ქრისტესსა, შეწყალებად და ცხოვნებად სულთა ჩუენთათჳს!

- **ღვთისმშობელო ქალწულო** - 1 გზის.

- **პურის კურთხევა.**

დიდი ცისკარი:

- **„ღმერთი უფალი“** (იგალობება VIII ჳმაზე).

- **ტროპარი ღირსისა:** „სადმრთოსა ქუხილისა საყვირო...“ - 2 გზის *(გმა VIII).*

- **„დიდება“ „აწ და“** - ღმრთისმშობლისა „აღდგომის განსატყეველი“ (ტროპარი ხმის მიხედვით):

- „რომელი ჩვენთვის იშვე ქრისტე ქალწულისაგან ჯვარ-ცმა დაითმინე სახიერ რომელმანსიკუდლითა სიკუდილი მოაკუდინე, და აღდგომა მოგუმადლე ვითარცა ღმერთ ხარ, და ნუ უგულებელს ჰოფ რომელი შჳქმენეს ხელთა სწნთა , არამედ აჩვენე კაცთ - მოყვარებას შენი მოწყალე, და მიიღე რომელმან გშვა შენ ღვთისმშობელისაგან ვნებაი ჩვენთვის და აცხოვნე მაცხოვარო ცვენო ერი განწირული“ *(გმა VIII).*

- **შემდგომად I ფსალმუნებისა, წარდგომა.** *(გმა 1).*

სიგლახაკესა შინა სულმან წმიდამან გცხო გონიერებაჲ, და გარდაცვალა გული შენი და მეოხ-გყო ერსა ზედა ჩუენსა და ისმენ ვედრებასა და მორწმუნეთა თხოვასა. აწ გამოაბრწყინვე გულსა ჩუენსა ნათელი ჳემმარიტი და მეოხ-გუეყავ მაქებელთა შენთა დაუცხრომელად. **2-გზის.**

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

განეცხადების საიდუმლოჲ საუკუნითგან დაფარული მთავარანგელოზს, მითხრობად ძრწოლით ქალწულისა მიმართ, ხოლო იგი ახარებს კურთხეულსა დედათა შორის, რომლისა-თანა ვჳმობდეთ: გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა.

- **შემდგომად II ფსალმუნებისა, წარდგომა.** *(გმა 4).*

შრომანი შენნი სულიერნი და კეთილნი სათნოვებანი და გულისა სიწრფოვებანი, იხილნა რაჲ მაღალმან, მოხედვა-ყო წყალობით, რომელი ჰხედავს მდაბალთა, და სულით და ჳორციით გადიდა, და აწ ჳსენებისა შენისა აღმასრულებელთა ჳსნაჲ გვთხოვე შეცოდებათა, ვითარცა წინაშე ღმრთისა მდგომარემან. **2-გზის.**

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოველთა შემოქმედი ღმერთი და დამბადებელი, ყოვლადუბიწო, წმიდაო, საღმრთოა სულისა მიერ მუცლად იღე და უხრწნელად ჰშევ, რომლისათვისცა გადიდებთ შენ და გიგალობთ, ქალწულო, ვითარცა ყოველთა მეუფისა პალატსა და სოფლისა შემწესა.

– „სადიდებელი“ მე-19 კანონი (134-ე და 135-ე ფსალმუნები).

– „გადიდებსა“ ღირსისა (ფსალმუნთა გამოკრებილი მუხლებით - დავითნიდან).

– „წარდგომა“ შემდგომად „სადიდებელისა“:

სიბრძნე...

სიჩრდოთგან განწმედილ-იქმენ შენ, მარადის კსენებულო ღირსო მამაო, და ჟამსა მას უღმრთოთა ზეობისასა, ქუეყანასა ზედა, ვითარცა ანგელოზი იქცეოდი, რამეთუ ჯორცნი მოაკუდინე მოლუაწებითა და საღმრთოთა შურითა შენითა სამებისა წმიდისა სათნოდ გამოსჩნდი, რომლისათვისცა გუნდასა სალოსათა და აღმსარებელთასა შეერთე, ბერო გაბრიელ, და საწუთოთა შუებათაგან სიმაღლედ აღიყუანენ ერნი მორწმუნეთანი, ღმერთშემოსილო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ცოდვათა მოტევებისა მონიჭებად, სურვილით პატივის-მცემელთა კსენებისა შენისასა. **2-გზის.**

დიდება მამასა და ძისა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

თანა დაუსაბამოდ სიტყუად მამისად, შენგან მიიღებს დასაბამსა ბუნებისა ჩვენისასა, ღმრთისმშობელო, და უჟამო შემოვალს ჟამსა შინა და სიტყუად განზრქებოდის, ხოლო ძჳ ღმრთისად მედ შენდა იწოდების. ეჰა, მიუწვთომელი ესე საიდუმლოდ, იესუ ქრისტე გუშინ და დღეს, და იგი თავადი არს უკუნისამდე.

– **I ანტიფონი IV ხმისა (კვირის ცისკრისა).**

სიყრმით ჩემითგან ფრიად მბრძვანან მე არაწმიდანი ვნებანი, ამისთვის გევედრები: შემწე-მეყავ და მივსენ სახიერ.

რომელთა გძულთ სიონი, სირცხვლეულ-იქმნენით უფლისა მიერ, და ვითარცა განკმული თივად შეგჭამნესთ გენიამან.

დიდება მამასა და ძისა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სულისა მიერ წმიდისა ყოველი სული ცხოველ-იქმნების და სიწმიდით ამაღლდების და განჰბრწყინდების სამებისა მიერ ერთ-არსებისა, ღმრთივშუენიერად და საიდუმლოდ.

– **წარდგომა (საცისკრო სახარებისა):** „პატიოსან-არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა“. (ჯგაჲ 7).

მუხლი: „რად მივაგო უფალსა ყოვლისავეთვს, რომელი ესე მომაგო მე“.

– **საცისკრო სახარება: ლკ.24 დას. VI, 17-23.**

– „დიდება“ - „მეოხებითა წმიდისა მამისა ჩვენისა გაბრიელისათა...“

– „აწ და“ - „მეოხებითა ღვთისმშობელისათა, მოწყალეო...“

– „მიწყალე მე ღმერთო...“ („მცირე მიწყალე“).

- შემდგომად 50-ე ფსალმუნისა დასდებელი.

ყოველსა ქუეყანასა განხდა ჳმა ღუაწლისა შენისად, ღმრთივეგანბრძნობილო მამაო, სანატრელო, ამისთვის ზეცათა შინა ჳპოვე სასყიდელი შრომათა შენტად, და მრჩობლი გზრგზნი მოიღე ღმრთისაგან: აღმსარებელისად და სალოსისად, და აწ კადნიერებად გაქუს წინაშე ღმრთისა, მშჯდობად ითხოვე სულთა ჩუენთათჳს.

- „აცხოვნე ღმერთო ერი შენი...“

საცისკრო კანონთა 9 ოდა (გალობა).

იკითხება 2 კანონი .

I კანონი - ღმრთისმშობლისა (ძლისპირი 2-გზის) - 6 მუხლად (იხ. პარაკლიტონის ბოლოს ღმრთისმშობლის კანონები: `ეტლთა მფლობელი ფარაო...` ან `ქუეყანასა მწყურნებსა...`).

II კანონი - ღირსისა (ძლისპირის გარეშე) - 8 მუხლად. (ჳმა 1).

- კატავასია: „აღაღე პირი ჩემი...“.

- „უმცირესი“ - „უგალობდით უფალსა“.

გალობა 1, უგალობდითსა.

ძლისპირი: წამის ყოფითა, ღმერთო, ჳუნებანი მდინარენი ჳლუდედ აღამაღლენი და მათ შორის განიყვანე ერი ისრაელთად ჳმელად, და გალობდა გალობასა ძლევისასა.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენტჳს.

შური გაქუნდა შენ, წმიდაო, მართლისა ამის სარწმუნოებისა და განვრცობისათჳს სიყუარულისა, და გვიჩვენე გზად კეთილად მსახურებისად.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენტჳს.

სიწმიდითა გულისადათა იქმენ რად სამკვდრებელ სულისა წმიდისა, სურნელებად ლოცვათა შენტად, ვითარცა კეთილი საკუმეველი, მარადის აღიწეოდა ღმრთისა მიმართ.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენტჳს.

მოგავლინა შენ ღმერთმან ქართველთა მნათობად, ღირსო, და მოგცა მაღლი ეშმაკთა ოტებად და უძღურთა კურნებად, აწ დაიფარე სამწყსომ შენი ყოველთაგან ვნებათა მაჭირვებელთა და ეშმაკთა საცთურთათა.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ვითარცა მოგიღებეს ღმრთისაგან კადნიერებად მეოხებად ცოდვილთა, აწ გევედრები შენ, წმიდაო ბერო, რადთა იჯსნე სული ჩემი საწყალობელი მონებისაგან ცოდვისა.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

დაჯსნდა წყევად ევადსი, პირველისა მის დედისად, რაჳამს უსძლომან შვა უადრესი ჳუნებათად, ხოლო ერი მორწმუნეთად, ვითარცა ღირს არს, სამართლად ადიდებენ.

გალობა 3, განძლიერდასა.

ძლისპირი: ღმერთო, მაცხოვარო ჩუენო, ყოვლისა დამზადებელო, რომელმან სიტყვთ დაამყარენ ცანი მაღალნი, ყოვლით ძალით მათით და სულითა მით საღმრთოთა დამამტკიცენ ჩუენ ერთობით კლდესა ზედა სარწმუნოებისასა.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთვს.

სიყრმითგანვე იყავ შენ მდაბალ და ყოვლადვე-განშორებულ ჩუეულებისაგან ყრმათა სილაღისა, ხოლო აღიზარდე რად, ღირსო, ევლტოდე სიჭაბუკისა გულის თქუმათა და იყავ შენ განმზადებულ ყოვლისავეთვს საქმისა კეთილისა.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთვს.

ვეშაპი მაცთური საოცრებისა ხილვითა გეწყო ბრძოლად ყრმასა მას სულ მცირესა, გარნა შენ ზეგარადმოთა ძალითა დასთრგუნე ძალი იგი ეშმაკისად, აწცა თანა-წარგუჲადენ ეშმაკისა მიერ აღძრულნი განსაცდელნი მვედრებელთა შენთა.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთვს.

სახლი მშობელთა შენთად, ვითარცა უცხოთა გაქუნდა და იქცეოდი რად მას შინა სახითა გლახაკისადათა, ქრისტეს ტრფიალებითა მოწყულმან შეიმოსე ჯუარი მისი, ნეტარო, და შეუდეგ კუალთა მისთა.

- „**დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა**” - ზეობასა მას ღმრთისმბრძოლთასა აღეტყინე რად ზეცისა სურვილითა, დაუცხრომელად მუშაკობდი აღშენებად უფლისა სავანისა, ხოლო სამ-გზის დაგირღვევდენ რად შენებულსა, კუალად აღაგებდი უკეთესსა.

- „**აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ**” - მცხნელო ჩუენო იესუ, ვედრებითა მშობელისა შენისადათა მშვდობად სოფელსა მოჰმადლე, და ძლევად ჯუართა მოეც ერსა ჩუენსა ღმრთისმოყუარესა მტერთა ზედა ურწმუნოთა, და მორწმუნენი ღირს-მეყვენ შენდობასა.

- **შემდგომად „განძლიერდასა“ (III გალობისა):**

- **წარდგომად:** გიხილა რად მჭურვალედ შესრული მოღუაწებასა, მრავალ ფერი ეგე განსაცდელი შეგამთხვია შენ ეშმაკმან, რადთა განაქარვნეს მჭურვალეზად შენი, და მიუშვა იგი ღმერთმან, ვითარცა იგი იობს ზედა მართალსა. და შენცა განმზადე რად თავი თვისი განსაცდელთა მიმართ – მრავალგზის შეგემშია და მოგეწყურა; დაშუერ; მოკიცხვად და ყუედრებად თავს იდეგ; ჰერობილ-იქმენ; სამშჯავროდ წარსდეგ და იგუემე, და ღმრთისმბრძოლთა წინაშე კადნიერად აღიარე ქრისტე; მას ევედრე აწ ცხნად ჩუენდა ჭირთაგან, ღმრთივსანატრელო გაბრიელ, რომელნი საცსენებელსა შენსა აღვასრულებთ.

- **2 გზის.**

გალობა 4, უფალო მესმასა.

ძლისპირი: მოხვედ ჩუენდა, ქალწულისაგან არა ანგელოზი, არამედ თვთ უფალი, განჯორციელებული ღმერთი, და მიცხნენ ჩუენ ყოვლითურთ, რომელნი ვლადადებთ: დიდებად ძალსა შენსა.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთს.

დიდი ჭირი და იწროებად მოაწიეს რად ეკლესიათა და მორწმუნეთა, მბრძოლთა მათ ღმრთისათა, მრავალნი იძულებით განიძარცუვიდეს სქემასა მონაზონებისასა, ხოლო შენ აღირჩიე სრბად იწროსა მას გზასა, და შეუძრველად ჰგიებდი მართალსა ზედა აღსარებასა.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთს.

ჟამსა მას უღმრთოთა მძლავრებისასა, ჭაბუკი, ვითარცა მჯცოვანი და ბრძენი, სულგრძელებითა დაითმენდი საღმრთოდასა სიყუარულისა განძარცვასა და სიმდაბლითა იტვრთავდი შეურაცხებასა.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთს.

აღკვეცეს რად მცირესა სქემასა, ღირსო, გიწოდეს სახელი გაბრიელ ათონელისად, რომელსაცა შეერთე ახალი ესე მოღუაწჳ, ნუგუემინის-საცემელად ივერთა ერისა და მიემსგავსე მას მონაზვნებრივითა უპოვარებითა.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

იქმენ რად კელდასხმულ მღღელ-მონაზვნად, ქადაგებდი მართლმადიდებლობისა ყოვლად-უბიწოსა სარწმუნოებასა, და ნათელ-სცემდი რად ერსა შენსა, დანთქმულსა წყუდიადსა შინა წარმართობისასა, ასწავებდი დამარხვად მცნებათა ღმრთისათა.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ჭეშმარიტო ღმრთისა დედაო, ევედრე შენ, ძესა შენსა დამბადებელსა, რადთა მიმიძლუეს ჩუენ ნავთსადგურად მყუდროდ და განმარინნეს დანთქმისაგან ცოდვათა ჩუენთასა.

გალობად 5, ღამითგანსა.

ძლისპირი: სული მაცხოვარებისად, უფალო, რომელ-იგი მიუდგა გულსა შინა პირველთა წინადაწარმეტყუელთასა და იშვა ქუეყანასა, მან მაუწყა ჩუენ მოსლვად შენი ქუეყანად მორწმუნეთა ცხორებად, და აწ განათლებულნი გალობით გადიდებთ.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთს.

მრავალგზის შეგემთხვევოდა რად უღმრთოთაგან შეურაცხებად, წარხვედ ბეთანიად, სადა მკვდრ იყუნეს სასწაულთმოქმედნი მამანი: გიორგი იოანესა თანა, და განგსწავლნეს რად კეთილად მსახურებითა, განძლიერდი და ქრისტჳს მიერ მოგენიჭა მაღლი დაფარულთა ცნობისად.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთს.

ჰმსახურებდენ რად დაბადებულთა, და არა დამბადებელსა, რომელი-იგი კურთხეულ არს უკუნისამდე, განხურდი, მწნეო გაბრიელ, ქრისტეს სიყუარულითა, და აღუდეგ ცეცხლი და დასწუნენ სამაგელი იგი სახებად კაცისა მის ღმრთისმბრძოლისად.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთს.

წარგადგინეს რად წინაშე მძლავრთა, სოქუ კადნიერად: „არა უხმს დიდებად მძორსა მას კაცისასა, არამედ მაცხოვარსა, მკუდრეთით აღმდგარსა“, და ამხილებდი ძალითა სულისადათა, გარნა არცალა შეიწყნარეს ჭემმარიტებად უგუნურთა მათ და შეგაყენეს დილეგსა.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ვერცა გუემათა და არცალა შიშმან სიკუდილისამან შეუძლეს განშორებად შენდა სიყუარულისაგან ჭემმარიტისა ღმრთისა, რამეთუ ურიცხუნი წყლულებანი თავს იხენ და ვითარცა ოქროდ, გამოიხურვე ბრძმედსა მას შინა განსაცდელთასა.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ცანი და ქუეყანად განათლდეს შენ მიერ, უქორწინებელო დედაო იესუმსო, რამეთუ გამოგზბრწყინვე შენ ნათელი დაუშრეტელი, ღმერთი ყოველთადა, რომელმან ბნელსა შინა შეყენებულნი მიკსნა და ზეცისა სასუფეველისა მკვდრად გვჩინა.

გალობად 6, ღალადყავსა.

ძლისპირი: დანთქმული ღელვათა სოფლისა ამის განსაცდელთა ნავითა ცოდვისადათა შთავრდომილი და მიგდებული მკვცსა სულთა მომსრველსა, გიღალადებ: ვითარცა იონა იკსენ განჯრწნისაგან და სიკუდილისა, ეგრეთცა მიკსენ მე, ქრისტე.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთს.

რომელნი ეგე პირველ სიცოფითა იქადოდეს, განძნდეს მოკლვად შენდა, არამედ ლოცვითა და ვედრებითა შენითა ღმრთისა მიმართ, განცრუვდა სილაღჷ მათი, ნეტარო, და ქრისტემან, კლდემან სიმტკიცისამან დაგიფარა საკვრველად.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთს.

მანქანათა უღმრთოებისათა ვერ შეუძლეს შერყევად სარწმუნოებისა შენისა სიმტკიცისა, და განგაწესეს რად შლეგთა და შეურაცხთა თანა, მოიწინეს შენ ზედა ურიცხვნი განსაცდელნი, რომელნი-იგი არავინ იცნის თვნიერ ღმრთისა.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთს.

განგიტევეს რად შუამდგომლობითა ეგრემ პატრეარქისადათა, კუალად იწყე მსახურებად სიონსა, გარნა დაყენებულ იქმენ მსახურებისა და ზიარებისაგან ხელისუფალთა მძლავრებითა, და ვითარცა გლახაკი უსადგუროდ, საფლავთა და ქუაბთა შინა იყოფოდი და ითხოვდი საფასესა.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

საცთურისა ვერ დამთმენელი და ფრიად მოყუარჷ მოყუასისა, უღმრთოებისათს ამხილებდი ერსა შენსა, რადთამცა არა მოიწიოს მას ზედა სასჯელი ღმრთისადა, მას

ევედრე აწ, გვკსნნეს ჩუენ ცოდვათაგან ბოროტთა და დაგვიფარნეს მტერისა საბრჯისაგან და ძმათა მტერობისაგან.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

წინადაწარ მოასწავა საიდუმლოდ შენი, ქალწულო, პირველ კიდობანმან შჯულისამან, შემწყნარებელმან საღმრთოთა წერილთამან, და ტაკუკმან ოქროსამან, სამკვდრებელმან მანანადსამან და კუერთხმან.

- **შემდგომად „ღაღადყავსა“ (VI გალობისა):**

- **კონდაკი** - ვითარცა სათნომან ღმრთისამან და სარწმუნომან, სიფიცხჷ იგი ბერობისად აღირჩიენ უფროდს სოფლისა სიტკბოებათა და აღიწიე რად თავსა სრულებათასა, სიბრძნჷ შენი დაჰფარე სალოსობითა და ვითარცა აღმსარებელი, დღითიდღე იღუწიდი სადიდებელად ღმრთისა, მას ევედრე აწ დაუცხრომელად კსნად ჩუენდა ყოვლისაგან სენისა და განსაცდელისაგან ბოროტისა, რადთა გიღაღადებდეთ შენ, ღირსო გაბრიელ: გიხაროდენ, მფარველო მოსავთა შენთაო!

- **იკოსი** - სიმჷნით აღიღე რად ფარი სარწმუნოებისად, შეჭურვილ იყავნ მარხვითა, ლოცვითა და სხვთაცა ბევრეულითა ღუაწლითა და ქრისტჷსთჷს სულელობითა შენითა ქადაგებდი რად სახარებასა, დაითმენდი მრავალთა განსაცდელთა და მრჩობლი გვრგვნი აღმსარებლობისად და სალოსობისად მოიღე ღმრთისაგან; აწ გვითხოვე მისგან ცოდვათა და უსჯულოებათა ჩუენთა შენდობად, ღირსო გაბრიელ, რადთა ღირს-ვიქმნნეთ დიდებასა მისსა.

გალობად 7, კურთხეულარსა.

ძლისპირი: ყრმათა ბაბილონს საჯუმილსა მას შინა ცუარი ეცურია ზეგარდამოდ. ღმრთისა მიერ ღაღადებდეს და იტყოდეს: კურთხეულ-ხარ, უფალო მამათა ჩუენთაო, ღმერთო უკუნისამდე.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჷს.

საღმრთოთა გულისკმისყოფითა გიხმო რად ეფრემ ქართველთა პატრიარქმან საკურთხეველსა შინა, გაზიარნა ქრისტჷს საიდუმლოთა და განგიტევა სამთავროს დედათა მონასტერსა, და დაეყუდე რად მუნ მცირესა სენაკსა ფრიად სიგლახაკესა შინა, შესწირვიდი მსხუერპლსა უსისხლოსა და ქადაგებდი საკვრველად.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჷს.

მოქალაქჷ ზეცისა იერუსალჷმისად დაემკვრდე ახალსა იერუსალჷმსა, სამეუფოდსა ქალაქსა მცხეთას - მახლობლად მაცყლიანსა, სადა იგი იერუსალჷმით მოიწია ნინო, ქრისტჷს მხევალი და ილოცვიდა რად, მოაქცივნა ქართველნი ჯუართა ცხოველითა.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთჷს.

გარდახვედ რად გოდოლსა მირიანისასა, განაშუენე იგი წმიდათა ჯუართა მიერ და ხატთა, რომელთაცა ეძიებდი და კაზმავდი ჳელითა შენითა, და მრავალთა ამხილებდი და განსწავლიდი წყობასა მტერთა მიმართ უხილავთა და ხილულთა, და დედათა განაკრძალელებდი ლოცვასა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ქრისტესთვის სულელ იქმენ შენ და აღიღე რაიმე ორკეცი ღუაწლი: დაყუდებისა და სალოსობისა, ბრძენი ეგე შერაცხილ იყავნ უგუნურად და იქმენ შენ საქიქელ სამდდლოთაგან და ერთა, გარნა აწ დადგრომილ ხარ წმიდანად ივერთა ეკლესიისა და გაქუს მაღლი მორწმუნეთა შეწევნისა, რომელნიცა აღვიძრვით ქებად ღუაწლისა შენისა.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

გიხაროდენ შენ, ასულო ადამისო, გიხაროდენ, სძალო ღმრთისაო, გიხაროდენ, მშობელო მაცხოვრისაო, რომელმან დაიტიე შემოქმედი შენი, მეოხ-გვეყავ მარადის.

გალობა 8, აკურთხევედითსა.

ძლისპირი: შეუწუელმან მაყუალმან სინას აუწყა ღმერთი მოსეს, ჳმითა წულილსა და ენ-მძიმესა, და შურმან საღმრთომან ყრმანი იქსნნა საჯუმილისაგან და გალობით დაღაღებდეს: ყოველნი საქმენი აკურთხევედით დღეს ღმერთსა და უფალსა, უგალობდით და ამალღებდით მას უკუნისამდე.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთვს.

ვითარცა დავით დაიმდაბლა თავი თვისი და თქუა შემუსრვილითა გულითა: „მატლ ვარ და არა კაც, საყუედრელ კაცთა და შეურაცხ ერისა“; ეგრეთცა გვიჩუენე ჩუენ სიმალღ სიმდაბლისა, და ვითარცა შეურაცხი, ლოთი და ურგები, ძაღლსა მაცხოვარისასა უწოდდი თავსა თვისსა, რაფთა არცაღა განითქუე სათნოებითა და სიწმიდითა.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთვს.

მარადის გლოვასა შინა იყავ, ნეტარო, და ვსენებასა მას საუკუნოდასა სასჯელისასა და კუბოსა შინა, ვითარცა მკუდარი განრთხმული ცრემლთაცა გარდამოსთხევედი თუალთაგან, რამეთუ პირველთა მათ მამათა მიბაძვთა ამასვე სოფელსა დაიტირდი თავსა თვისსა.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთვს.

არავინ ყოფილ არს მამათა ჩუენთაგანი მსგავს შენდა, ჳ, ბერო საკვრველო, რამეთუ მოცემულ გაქუნდა შენ სიტყუად სიბრძნისა და მეცნიერებისა სულისაგან წმიდისა, და მაღლი შეწევნისა და წინაღწარმეტყუელებისა და კუალადცა აღმატებული ნიჭი სიყუარულისა.

„ვაკურთხებთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“.

დაფარულსა საიდუმლოსა, ვითარცა ცხადსა ჳხედევდი, წმიდაო ბერო, ხოლო მომავალი სარწმუნოდ უწყოდი, და ყოველივე თქმული შენი ჳქმმარიტ-არს, აწ მოგუეც ჩუენ გული გონიერი და ბრძენი, გულისხმის-ყოფად კეთილისა და ბოროტისა, რაფთა წარმწყმედელთა გზათაგან განგვერნეთ და წარვემართნეთ გზასა მას ჳქმმარიტსა.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სამთა მათ ყრმათა ბაბილონს საკუმილსა შინა სამებასა თაყუანის-სცეს და შეურაცხ-ყვეს ხატი იგი ოქროსაჲ, და ცუართა სხურებულნი გალობითა დადადებდეს: ყოველნი საქმენი აკურთხევდით დღეს ღმერთსა და უფალსა, უგალობდით და ამაღლებდით მას უკუნისამდე.

ვაქებთ, ვაკურთხევთ, თაყუანის-ვსცემთ უფალსა, უგალობთ და აღუამაღლებთ მას უკუნისამდე...

- **შემდგომად „აკურთხევდითსა“ (VIII გალობისა): - „უპატიოსნესსა“.**
გალობაჲ 9, ადიდებდითსა.

ძლისპირი: მტვრთველმან გამოუცდელმან უხრწნელებისამან, სიტყუასა დამბადებელსა ავასხა ბუნებათა. მოვედ, უბიწოო ქალწულო, ღმრთისმშობელო, შენგან შობილსა თანა მასწავე მორწმუნეთა, რადთა ღირს ვიქმნეთ ჩუენ დიდებად შენდა.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთვის.

დასნეულდი რად, მადლითა განღმრთობილო, დაითმენდი მწარეთა საღმობათა, და გემცნო რად დღწ საწუთოდთგან განსლვისა შენისაჲ, აკურთხევდი სამწყსოსა და ილოცვიდი წინაშე ხატისა მის ნიკოლოზ მღდელთმთავრისა, ევედრებოდი რად ერისათვს შენისა და მამულისა.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთვის.

შეჰვედრე რად სული შენი უფალსა, შეერთე სიმრავლესა მას წმიდათასა, და ძუელთა მათ ბერთაებრ ჭილოფსა წარგრაგნილი დაგვლეს ეზოსა შინა სამთავროდსა, გარნა პატივი სიწმიდისაჲ არცა სიკუდილისა მიერ განგეშორა, ღირსო, და სამარხოჲ შენი იქმნა უძღურთათვს, ვითარცა საუნჯწ მადლისაჲ და წყაროდ კურნებათაჲ.

წმიდაო, ღირსო მამაო გაბრიელ, აღმსარებელო და სალოსო, ევედრე ღმერთსა ჩუენთვის.

არა ხოლო თუ მორწმუნენი და მოსავნი, არამედ დაუდევნელიცა და მცირედ მორწმუნენიცა მოისწრაფვენ ვიდრე აქმომდე მიმთხვევად სისხლისა შენისა, კუალად უხრწნელისა, და გვედრებიან რად წყალობასა, მარადის ისმენ ვედრებასა მათსა და ყოველთა მისცემ ღმრთისა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ხედვიდეს რად მღდელთმთავარნი საფლავსა შენსა საკვრველსა, კურნებათა აღმომადინებელსა, და სასწაულთა აურაცხელთა, რომელნი იქმნებოდა მადლითა შენითა, ჳმამალად გადიდეს, ვითარცა საკვრველთმოქმედი მამაჲ უკანადასკნელისა ამის ჳამისაჲ, და საწსენებელად და საუკუნოდ ნეტარებაჲ და ქებაჲ შენი განგვიწესეს.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ძული შჯული მოგასწავებს, ქალწულო წმიდაო, და ახალი აღგიარებს ღმრთისმშობლად, უსძლოო, და ჩუენ მორწმუნენი სარწმუნოებით ვიტყვთ: მშობელო სიტყვსაო, ვედრებად ნუ დასცხრები ღმრთისა მიმართ მოსავთა შენთათჳს.

- **შემდგომად „ადიდებდითსა“ (IX გალობისა):** - „ღირს არსი“ - არ იგალობება.

- **„განმანათლებელი“** - გამოსჩნდი შენ, ვითარცა სახს ბრწყინვალს და შეიწყნარე სული წმიდაჲ, ღირსო მამაო, რომლისა მიერ თუალნი სულისანი ხილვითა საღმრთოთა განაბრწყინვენ, და განათლებული ხედევდი რაჲ მომავალთა, ყოველსა ყოვადმდე იტყოდი უბიწოებითა საღმრთოთა, ხოლო აწ მეოხ-გუეყავ წინაშე ღმრთისა, წმიდაო გაბრიელ რაჲთა გარდამოგვივლინოს ძალი, სიმკნს, სიბრძნს და მძლეველობაჲ ყოველთა მტერთა და მაჭირვებელთა ზედა. (2-გზის).

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღმრთისმშობლად ჭემმარიტად აღგიარებთ შენ, დედოფალო, შენ მიერ ცხოვნებულნი, რამეთუ ღმერთი ჰშევ გამოუთქმელად დამკსნელ ჯუართა სიკუდილისა და თჳსდა მიმართ მიმზიდველი ღირსთა კრებულისა, რომლისა თანა გაქებთ შენ, ქალწულო.

- **„ყოველი სული“** - იგალობება.

- **„აქებდითსა“** ზედა დასდებლები - მუხლი 8.

- ქრისტემან მოგცა შენ მაღლი სასწაულთაცა საქმედ და ესრეთ პატივ გცა საწუთროსა ამას, ხოლო შემდგომად სიკუდილისა შენისა უფროჲს იდიდე წინაშე მისსა, პატივცემული აღმსარებელთა თანა და სალოსთა, საუკუნესა.

- იხარებს აწ ქართველთა ეკლესიაჲ ვსენებასა შენსა და გვიწეს ყოველთა მორწმუნეთა, რაჲთა გნატრიდეთ შენ, მოშურნესა მკურვალესა და ვნებათა თჳთმპყრობელსა, გლახაკთა წინა-მდგომელსა, და ცოდვილთა სულთა მძლუნსა, რამეთუ იქმენ შენ მსხუერპლ საღმრთოჲსა ქრისტეს საკურთხეველისა, ღირსო გაბრიელ, და კადნიერად მეოხ-ხარ ჩუენ ყოველთათჳს.

- იშვებდ აწ, ქალაქო სამეუფოო, განსცხრებოდე სავანეო დედათაო, და დღესასწაულობდ ქუეყანაო ქართლოსიანთაო, რამეთუ წყალობითა მოგვხედნა ქრისტემან ღმერთმან და მოგუმაღლა ჩუენ აღმსარებელი მამაჲ და სალოსი ბერი შემწედ ჭირთა შინა, ნუგეშად მწუხარებათა, მკურნალად სნეულებათა და გამომკსნელად ვნებათაგან.

- შემოკრბით, მ, ერნო ქართველთანო, და შესხმითა სულიერითა უგალობდეთ წმიდასა და ახოვანსა ქრისტეს მხედარსა, გაბრიელ ბერსა, ვითარცა ქუეყანასა ზედა ქრისტეს მეორედ მოსვლისა მქადაგებელსა და ბილწისა მის ანტიქრისტეს წინა აღმდგომელსა.

- ვითარცა მოუვლენდა ღმერთი ისრაელსა წინასწარმეტყუელთა სამხილებლად და შუამდგომელად წინაშე მისა, ეგრეთცა შენ, სალოსი მამაჲ და აღმსარებელი მოლუაწს მოცემულ ხარ მოძღურად და სამხილებლად ერისა ჩუენისა, და ილუწიდი ჩუენთჳს სულიერად წინაშე ღმრთისა, ვსნად განსაცდელთაგან და განრინებად ყოვლისაგან ვნებისა, არამედ აწ გვიოხე წინაშე მისა, დანერგოს ჩუენ შორის შიში და მოძაგებაჲ ცოდვისაჲ და სიყუარული ღმრთისა და მოყუასისა.

- დაღაცათუ საფლავმან დაგფარა შენ, ღირსო გაბრიელ, საკვრველებათა მათ აღმობრწყინვებითა ელვარობ წმიდისა მის სავანითგან ყოველსა ზედა ქუეყანასა და სულიერთა სულნელებათა მიჰფენ სულთა და გონებათა ჩუენტა, ვინაჲ ესე მოვისწრაფვით სამთავროსა, ნაწილთა შენთა საყოფელსა, რადთამცა ცხებითა მით ზეთითა კანდელისა შენისაჲთა აღმოვივსოთ კურნებაჲ სულთა და ჳორცთა ჩუენტა.

- **მუხლი: „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა“.**

- დაღათუ ურიცხუნი სასწაულნი შენნი განგვაცვიფრებს, ღმერთშემოსილო გაბრიელ, საკვრველო, არამედ უფროდს გჳკვრს აღმსარებლობაჲ შენი და სიყუარული ღმრთისა და მოყუასისაჲ, რომელმან სამეუფოდ ქალაქი ესე მცხეთა განანათლენ საკვრველებითა და მარადის შეეწევი შენდა მომართ მჳურვალედ მოლტოლვილთა, დაუცხრომელად ევედრე აწ ქრისტესა ღმერთსა, რომელნი სარწმუნოებითა და სიყუარულით პატივს-ვსცემთ მარადის სახარულევანსა და ყოვლადსანატრელსა ჳსენებასა შენსა, ჳსნად ყოვლისაგან ჳირისა და საღმობისა.

მუხლი: „ნეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად“.

- **ჳ**, ღუაწლისა მძლეო, წმიდაო გაბრიელ ბერო, აღთქმისაებრ შენისა ვსასოებთ საუფლოდსა ხატისა გამოჳსნასა და პატივად მისად სახელდებულსა ანჩის-ხატსა შინა ძუელითა დიდებითა დაბრძანებასა, რადთამცა წინაუსწროდეს საკვრველსა გამოჩინებასა აწყურისა ხატისასა და დიდებულსა მობრძანებასა წმიდისა პორტაიტისასა – ჳსნად ქუეყანისა ამის ჩუენტისა და ერისა სატანისა მაკეთაგან და ბოროტისა მის ანტიქრისტეს საცთურისა და ბრძოლისაგან.

- **„დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“.** - დავბეროთ საყვრსა გალობათასა და განვსცხრებოდეთ და ვიშუებდეთ მოხარულნი ყოვლადწმიდასა შინა დღესასწაულსა ყოვლადქებულისა მოძღურისა ჩუენტისასა. შემოკრებით **ჳ**, მორწმუნენო ქართველნო და შესჳმითა სულიერთა შევამკობდეთ და ვაქებდეთ სანატრელსა მამასა ჩუენტსა, ვითარცა სწავლისა მდინარეთა აღმომდენტა ჩუენტა და უგალობდეთ: უძღლურნი – სენტა მკურნალსა, ხოლო ჳირვეულნი – მჳსნელსა, შეცოდებულნი – მჳურვალესა მეოხსა, მწუხარენი – განმაცხრობელსა და მავალნი – მოგზაურსა, მენავენი – მმართველსა და ყოველნი ყოვლით კერძო, ყოველთავე სასოსა სარწმუნოებით ვადიდებდეთ და ვიტყოდეთ: მეოხ-გუეყავ, ღმერთშემოსილო გაბრიელ, რადთა ლოცვათა შენთა მიერთთა თხოვითა შეგჳჳურნეს ჩუენ უფალმან ღმერთმან ძალითა თჳსითა უძღლევლითა, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთა ჩუენტა ზედა და გუაცხოვნენს ჩუენ. (**ჳმაჲ 5**).

- **„აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ“.** - „ღვთისმშობელო ქალწულო, შენ ხარ ვენახი ჳეშმარიტი, რომელმან გამოიღე ტევანი ცხორებისა, შენ გევედრებით, მიმადლებულო, მოციქულთა თანა მეოხ მეყავ ცხორებისათვის სულთა ჩვენთასა“.

– **„დიდებამაღალიანი“ - იგალობება.**

- ტროპარი ღირსისა: „საღმრთოსა ქუბილისა საყვირო...“ - 2 გზის (ჯგ VIII).
- „დიდება“ „აწ და“ - ღმრთისმშობლისა „აღდგომის განსატევებელი“ (ტროპარი ხმის მიხედვით):
- „რომელი ჩვენთვის იშევ ქრისტე ქალწულისაგან ჯვარ-ცმა დაითმინე სახიერ რომელმანსიკუდლითა სიკუდილი მოაკუდინე, და აღდგომა მოგუმადლე ვითარცა ღმერთ ხარ, და ნუ უგულებელს ჰოვ რომელი შტქმენეს ხელთა სწნთა , არამედ აჩვენე კაცთ - მოყვარებას შენი მოწყალე, და მიიღე რომელმან გშვა შენ ღვთისმშობელისაგან ვნებაი ჩვენთვის და აცხოვნე მაცხოვარო ცვენო ერი განწირული“ (ჯგ VIII).

I, III და VI ჟამნებზე:

- ტროპარი: ღირსისა.
- კონდაკი: ღირსისა.

წმ. იოანე ოქროპირის საღმრთო ლიტურგია:

- „გამომსახველობითი ანტიფონები“ - „ნეტარებების“ - გალობისას ჩაერთვის „მომიხსენენ“ - 8 მუხლად:
- ღირსის III გალობიდან - 4 მუხლი (ძლისპირით).
- ღირსის VI გალობიდან - 4 მუხლი, თავისი „დიდება“ „აწ და“ - თი.

სამოციქულო - ღირ. - გალ. 213 დას. V, 22 - VI, 2.

სახარება - მთ. 43 დას. XI, 27-30.

შესვლად.

ტროპარი - ღირსისა

კონდაკები - „დიდება“ - ღირსისა

„აწ და“ - „სასო და შესავედრებელი...“

„წარდგომა“: „პატიოსან-არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა“:(ჯგა 7).

მუხლი: „რად მივაგო უფალსა ყოვლისავეთჳს, რომელი ესე მომაგო მე“.

„ალილუია“: „ნეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად“:(ჯგა 6).

მუხლი. „ძლიერ იყოს ქუეყანასა ზედა ნათესავი მისი და თესლი წრფელთა იკურთხოს“.

განიცადე: „საჯსენებელად საუკუნოდ იყოს მართალი ჰამბავისაგან ბოროტისა არა ეშინოდის“.

ავტორ-შემდგენელი: თინათინ მჭედლიშვილი.